ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	***31/12/2018***	***31/12/2017***
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	*710331*	*79100*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	*538644*	*479830*
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	*781989*	*807103*
მარაგები	*1303885*	*933059*
მზა პროდუქცია	*680893*	*436756*
სხვა	*622992*	*496303*
საინვესტიციო ქონება	*0*	*0*
სხვა მოკლევადიანი აქტივები	*17215*	*5854*
ბიოლოგიური აქტივები	*0*	*0*
თვითღირებულების მოდელით	*0*	*0*
გადაფასების მოდელით	*0*	*0*
გუდვილი	*0*	*0*
სხვა არამატერიალური აქტივები	*0*	*0*
ძირითადი საშუალებები	*1310868*	*1384099*
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	*0*	*0*
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	*0*	*0*
სხვა გრძელვადიანი აქტივები	*0*	*0*
სულ აქტივები	*4662932*	*3689045*
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	*10232*	*288391*
სავაჭრო ვალდებულებები	*702764*	*157170*
ანარიცხები	*0*	*0*
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	*0*	*0*
საგადასახადო ვალდებულებები	*253337*	*100205*
გამოუმუშავებელი შემოსავალი	*0*	*0*
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	*146464*	*311460*
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	*1075023*	*818582*
მიღებული გრანტები	*0*	*0*
სხვა ვალდებულებები	*31593*	*11431*
სულ ვალდებულებები	*2219413*	*1687239*
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	*200*	*200*
საემისიო შემოსავალი	*0*	*0*
გამოსყიდული საკუთარი აქციები	*0*	*0*
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	*2443319*	*2001606*
გადაფასების რეზერვი	*0*	*0*
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	*0*	*0*

სულ საკუთარი კაპიტალი	*2443519*	*2001806*
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	*4662932*	*3689045*
სულ მოკლევადიანი აქტივები	*3352063*	*2304946*
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	*1144389*	*868657*

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	***31/12/2018***	***31/12/2017***
ნეტო ამონაგები	*3835977*	*3327097*
საქონლის გაყიდვიდან	*2525630*	*2485578*
მომსახურების გაწევიდან	*1310347*	*841519*
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	*0*	*0*
სხვა	*0*	*0*
გაყიდვების თვითღირებულება	*-2083345*	*-2428350*
საწყისი მარაგები	*-694704*	*0*
მარაგების შესყიდვა	*-1255097*	*0*
გადამუშავების დანახარჯები	*0*	*0*
საბოლოო მარაგები	*736161*	*0*
საერთო მოგება	*1752632*	*898747*
სხვა საოპერაციო შემოსავალი	*0*	*0*
დასაქმებულთა ანაზღაურება	*-813195*	*-814184*
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	*-20302*	*-81286*
საპროცენტო შემოსავალი	*0*	*0*
საპროცენტო ხარჯი	*-82472*	*-113116*
იჯარის ხარჯი	*-23345*	*-180074*
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	*-267980*	*-307302*
სულ საოპერაციო ხარჯები	*-1207294*	*-1495962*
საოპერაციო მოგება	*545338*	*-597215*
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	*0*	*0*
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	*0*	*0*
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	*0*	*0*
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	*0*	*0*
მიღებული დივიდენდები	*0*	*0*
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	*48199*	*48648*
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	*593537*	*-548567*
მოგების გადასახადის ხარჯი	*0*	*-63000*

საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	*593537*	*-611567*
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	*0*	*0*
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	*0*	*0*
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	*0*	*0*
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	*593537*	*-611567*
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	*2001806*	*0*
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	*0*	*0*
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	*-151824*	*-271954*
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	*0*	*0*
კაპიტალის სხვა ცვლილებები	*0*	*2885327*
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	*2443519*	*2001806*

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	***31/12/2018***	***31/12/2017***
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	*443754*	*278466*
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	*0*	*0*
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	*174573*	*-202593*
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	*618327*	*75873*
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	*12904*	*3227*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	*79100*	*0*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	*710331*	*79100*

Mtsvane Sakhli LLC

Digitally signed by Mtsvane Sakhli LLC
Date: 2023.03.13 13:04:12 +04'00'

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „მწვანე სახლი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2006 წლის 28 თებერვალს, მისი იურიდიული მისამართია კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., N52, თბილისი, საქართველო. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 205128226.

კომპანიის 100% წილის მფლობელია კობა თაბაგარი (პ/ნ *01009011050*); დირექტორებია თორნიკე თაბაგარი და მირიან მდივანი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ,

საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, ნერგების და ჩითილების წარმოება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე

ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2018 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2,6766 ლარს ,ხოლო 1 ევრო შეადგენდა 3,0701.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე .

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს

მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში.

2.5 სასაქონლო მარაგები,

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით შემდეგი განაკვეთებით*:* შენობებისთვის *5%* წელი*,* დანარჩენი ძირითადი საშუალებებისათვის *8%, 15%* და *20%.*

2.7 არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში).

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების

პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით 15 % განაკვეთით.

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.9 სესხები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში. სასესხო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება, თუ კომპანიას აქვს უპირობო ვალდებულება გადაიხადოს სესხი საანგარიშო პერიოდიდან არაუგვიანეს *12* თვისა.

2.10 საწესდებო კაპიტალი კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება

ხდება მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

მომსახურეობის რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურეობა გაიწევა კომპანიის მიერ. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.12 მოგების გადასახადი მოგების გადასახადის ხარჯი/შემოსავალი მოიცავს მოგების გადასახადის მიმდინარე

ვალდებულებას და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას/აქტივს. მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება მიღებული მოგება დაბეგვრამდე შემცირებული წინა წლების დაგროვილი ზარალით და გამრავლებული მოგების გადასახადის განაკვეთზე.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი
ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების
გადასახადი *(*დღგ*)* წარმოიშობა

კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურეობის მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელი დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელი თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის

მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

2.15 მსს ფაას პირველადი გამოყენება კომპანიის *2018* წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად *(*მსს ფასს*).* შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია *2016* წლის *1* იანვარი*.* კომპანია აღნიშნულ თარიღამდე არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას.

2.16 შრომის ანაზღაურება
შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

Mtsvane Sakhli LLC

Digitally signed by Mtsvane Sakhli LLC
Date: 2023.03.13 13:04:46 +04'00'